სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

44661512548625

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250576743

რეგისტრაციის თარიღი

16.05.2025 წ

ნოტარიუსი: ელენე მერგელ
მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N 20
ტელეფონი: 514 441771

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის თექვსმეტ მაისს, მე, ნოტარიუსს ელენე მერგელს, რომლის სანოტარო მიური მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზირი #20, მომმართა **ქ-ნმა ნატო ჩიკვილაძემ** (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 13.01.1987წ., რეგისტრირებული: თბილისი აკაკი წერეთლის ქ. N 107 სახლი 3 ბ. 22, პირადი ნომერი: 01002026847), რომელმაც განაცხადა, რომ წარმოადგენს **შპს „ა91“-ს** (რეგისტრირებული: 31/01/2014წ., იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზ., №91, ს/ნ 404464334) (შემდგომში - **„მარწმუნებელი“** და/ან **„კომპანია“**), როგორც „მარწმუნებლის“ დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან „მარწმუნებლის“ შესახებ, მან განაცხადა, რომ სურს მარწმუნებლის სახელით მინდობილობის გაცემა და სანოტარო წესით დამოწმება. ვადასტურებ, რომ **ნატო ჩიკვილაძის** ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე **ნატო ჩიკვილაძის** ნება, რის შემდგომაც შევადგინე წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წაკითხვა **ნატო ჩიკვილაძეს**, განვუმარტე მისი მიწაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამ უკანასკნელმა წაიკითხა აქტის ტექსტი, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის მიწაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდახუთი წლის თექვსმეტ მაისს, წინამდებარე მინდობილობით,

შპს „ა91“-ს (რეგისტრირებული: 31/01/2014წ., იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზ., №91 , ს/ნ 404464334) (შემდგომში - **„მარწმუნებელი“** და/ან **„კომპანია“**), წარმოდგენილი დირექტორის, **ქ-ნი ნატო ჩიკვილაძის** მიერ,

ქ-ნ მაია მათიაშვილს (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01030051453) (შემდგომში - **„რწმუნებული“**),

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული უფლებამოსილია <u>მარწმუნებლის კუთვნილ უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქალაქი თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებელი, N91 საკადასტრო კოდი N 01.13.08.006.077 (შემდგომ ტექსტში „ქონება“)) სარეკლამო ბანერის განთავსების უფლების მიღების მიზნებისათვის</u> იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი საქართველოში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის მუნიციპალურ ორგანოებში, გამგეობებში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში (მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში არქიტექტურული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, სსიპ ტექნიკური და ზედამხედველობის სააგენტოში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში და სხვა), ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში, საარქივო დაწესებულებებსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, როგორც მარწმუნებლის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მონაწილე მხარეს (დაინტერესებულ პირს)

წარმოადგენს მარწმუნებელი, მათ შორის, რწმუნებული უფლებამოსილია როგორც მატერიალურად/ისე ელექტრონულად წარადგინოს პროექტები, განცხადებები, დეკლარაციები, ცნობები, პზომვითი ნახაზები (მათ შორის ელექტრონული), სხვა აუცილებელი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი, მიიღოს ადმინისტრაციული/თვითმმართველობის ორგანოებიდან თუ კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან ნებისმიერი შინაარსის ცნობა, მოწმობა, ბრძანება, ნებართვა, ამონაწერი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, მოახდინოს აუცილებელი მოსაკრებლების და გადასახდელების გადახდა, აგრეთვე შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე დავალების შესასრულებლად;

2. მიღდოზილობა ძალაშია 3 (სამი) თვის ვადით.

ეს მიღდოზილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ელენე შერგელის სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცა მარწმუნებლის წარმომადგენელს.

მიღდობილობის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს დანართის სახით თან ერთვის „მარწმუნებლის" ამონაწერი შეწარმება და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და სადამფუძნებლო შეთანხმება.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაური 30.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 5,40 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე 5.00 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

შპს „ა91"-ის სახელით

ნოტარიუსი
ელენე შერგელ